

57 113

საქართველოს სასჯელაღსრულების,
პრობაციისა და იურიდიული
დახმარების საკითხთა მინისტრის



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 234 29.12.2011

№ 1029 29.12.11

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვანთა
განათლებისა და სარეაბილიტაციო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა
სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის №8
დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და
„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“
ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებთ:

- მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვანთა განათლებისა და სარეაბილიტაციო სამოქმედო გეგმა“ დანართის შესაბამისად.
- მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ბათუნა კალაშვილიძე

დირექტორი შაშვინი

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვანთა განათლებისა და სარეაბილიტაციო სამოქმედო გეგმა

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველო არის გაეროს ბავშვთა კონვენციის წევრი ქვეყანა. კონვენციის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან შეიმუშავონ და განახორციელონ შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკა „თითოეული ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე“. მთავარი მიზანი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის არის მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია. არ უნდა მოხდეს ბავშვების კრიმინალიზაცია, სახელმწიფოს მხრიდან უნდა განხორციელდეს პრევენციის პროგრამები და უნდა მოხდეს იმ ადამიანების სპეციალური ტრენინგების მეშვეობით გადაშინება, რომელთაც არასრულწლოვანებთან მუშაობა უწევთ.

მუხლი 2. განათლების უფლება ნათლად არის ასახული ბავშვის უფლებათა კონვენციაში და ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დამატების ოქმში, რომელიც ხაზს უსვამს რომ არავის არ უნდა ეთქვას უარი განათლების მიღებაზე. ეს იმას გულისხმობს, რომ ყველა ბავშვს და სკოლის ასაკის მოზარდს უნდა ჰქონდეს სავალდებულო განათლების მიღების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ ყველა არასრულწლოვანს აქვს განათლების მიღების უფლება.

მუხლი 3. არასრულწლოვანთა განათლების უფლების უზრუნველყოფა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ძალიან მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა პიროვნული და აკადემიური განვითარებისათვის. ამასთან, აკადემიური და პიროვნული განვითარებისათვის აუცილებელია, რომ არასრულწლოვანთა შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება იყოს დამაკმაყოფილებელი. შესაბამისად, სასწავლო პროცესი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში რაც შეიძლება მეტად უნდა იყოს მიახლოებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემასთან. მთლიანობაში, ეს სცილდება მხოლოდ აკადემიურ სწავლებას და მოიცავს ასევე დამაკმაყოფილებელი სასწავლო გარემოს შექმნასაც.

თავი II

არსებული სიტუაცია/სისტემის ხარვეზი

მუხლი 4. ამჟამად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოში ხორციელდება სისხლის სამართლის რეფორმა. რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში მოხდა ახალი დებულების შემუშავება არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში, რომელიც მოიცავს არასრულწლოვანებთან სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ დაგეგმას თითოეული არასრულწლოვანის ბიო-ფსიქოსოციალური შეფასების მეშვეობით, რომელიც ხორციელდება მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო/პროფესიული, სარეაბილიტაციო და გასართობ პროგრამებს ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. ასევე რისკების შეფასებას და არასრულწლოვანების გათავისუფლებისათვის მომზადებას. თუმცა, მთელ პროცესში არის ერთი სფერო რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას და უფრო მეტი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. ეს არის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანების საკითხი. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის 2010 წლის შუალედური მიმოხილვის ანგარიში ხაზს უსვამს რომ: "პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის

18

დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნები იმყოფებიან უფრო ცუდი ფიზიკური განვითარების პირობებში, ვიდრე მსჯავრდებული არასრულწლოვნები, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს ვარაუდი, მათი პრაქტიკულად უდანაშაულობის შესახებ. ბრალდებულ არასრულწლოვნებს საკნიდან გამოსვლის უფლება აქვთ დღეში მხოლოდ 2 საათის განმავლობაში, მაშინ როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვნები მთელ დროს თითქმის გარეთ ატარებენ, ამასთან მათ აქვთ ნაკლები ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო ღონისძიებებზე."

მუხლი 5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, იუსტიციისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნებისთვის განათლების უფლების უზრუნველყოფას. აღნიშნული სამინისტროების ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნებისათვის განათლების მიღებას.

მუხლი 6. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნების რეაბილიტაციის და რეინტეგრაციის მხარდაჭერა ხორციელდება:

- ა) შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნით;
- ბ) თითოეული არასრულწლოვნისათვის მაღალი ხარისხის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნით, რომელიც მორგებულია თავად არასრულწლოვნის საგანმანათლებლო საჭიროებებზე;
- გ) რეაბილიტაციისა და რეკრეაციული პროგრამების განხორციელებით.

თავი III

პროცესი/ განსახორციელებელი ღონისძიებები

მუხლი 7. მიზნის მისაღწევად აქტივობები 3 ძირითადი მიმართულებით განხორციელდება:

1. სპეციალური სტრუქტურული ერთეულების შექმნა არასრულწლოვნებისათვის ქუთაისის №2 პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულებაში (დასავლეთ საქართველო) და თბილისის №8 პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულებაში (აღმოსავლეთ საქართველო) და არასრულწლოვანთა ერთეულების გაუქმება ბათუმის №3 და ზუგდიდის №4 დაწესებულებებში. აღნიშნული გულისხმობს თბილისსა და ქუთაისში არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის განახლებას; ახალი კადრების რეკრუტირებას, რომელიც დაკომპლექტდება სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისაგან; ტექნიკური დავალებების განსაზღვრას; იმ საკანონმდებლო აქტების შემუშავებას, რომელიც დაარეგულირებს არასრულწლოვანთა საგანმანათლებლო პროცესს, მათ ჩართულობას სარეაბილიტაციო აქტივობებში და ბიბლიოთეკების შექმნას ორივე დაწესებულებაში.

2. ყოვლისმომცველი მოდელის განსაზღვრა და გაცნობა არასრულწლოვანებზე ზრუნვისათვის - მოიცავს თითოეული არასრულწლოვანის ინდივიდუალური საჭიროებების დადგენას, პირველადი ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებას და არასრულწლოვანთა საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი ჩარევების განხორციელებას. მოხდება ახლად მიღებულ თანამშრომელთა შერჩევა და გადამზადება, მოქნილი საგანმანათლებლო და მათთან მოპყრობის პროგრამების განსაზღვრა, ვიზუალური სასწავლო მასალებით მომარაგება (ავეჯი, აღჭურვილობები და სხვა), არასრულწლოვანთა ფსიქოსოციალურ პროგრამებში ჩართული პროფესიონალების მოვალეობათა განსაზღვრა.

3. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნებისათვის- ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას მისცემს არასრულწლოვნებს დაწესებულების დატოვების შემდგომ გააგრძელონ განათლების მიღება.

თავი IV
მოსალოდნელი შედეგები 2012 წლისთვის

1. ყველა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანი:

- ა) შეფასდება ფსიქოლოგიური, სოციალური და საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით;
- ბ) მიიღებს მისი საჭიროებების შესაბამის ფსიქოლოგიურ დახმარებას და განათლებას მისი ინტერესებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე;
- გ) ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამები;
- დ) ისარგებლებს მდგარი სისტემით, რომელიც საშუალებას აძლევს მათ გააგრძელონ განათლების მიღება გათავისუფლების ან არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში.

2. ჩამოყალიბდება ერთიანი მიდგომა თითოეული არასრულწლოვანის მიმართ, მათი პენიტენციურ სისტემაში შესვლის დღიდან სისტემის დატოვებამდე და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ ყველა არასრულწლოვანს მოეპოვებიან ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციაში ჩამოყალიბებული პრინციპების შესაბამისად.

სამოქმედო გეგმა

აქტივობა	პასუხისმგებელი უწყება	ვადა
1. ქუთაისის №2 და თბილისის №8 დაწესებულებების არასრულწლოვანთა სპეციალური ერთეულების იფრასტრუქტურის გაუმჯობესება	სასჯელადასრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	2012 წლის I კვარტალი
2. ქუთაისის №2 და თბილისის №8 დაწესებულებების არასრულწლოვანთა განყოფილებების სათანადო აღჭურვილობით მომარაგება	სასჯელადასრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	2012 წლის I კვარტალი
3. ქუთაისის №2 და თბილისის №8 სასჯელადასრულების დაწესებულებებში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება	სასჯელადასრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	2011 წლის IV კვარტალი
4. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვანებთან მომუშავე პირების საქმიანობის აღწერის გეგმის შედგენა და მისი ასახვა შესაბამის ნორმატიულ აქტში	სასჯელადასრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	2012 წლის I კვარტალი
5. ტრენინგ მოდულების შექმნა სასჯელადასრულების სისტემის თანამშრომლებისთვის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვანებთან დაკავშირებულ სპეციალური მიდგომების შესახებ	სასჯელადასრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	2012 წლის I კვარტალი
6. ქუთაისის №2 და თბილისის №8 დაწესებულებების არასრულწლოვანთა განყოფილებების თანამშრომელთა გადამზადება	სასჯელადასრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	2012 წლის I კვარტალი
7. სპეციალური სასწავლო გეგმის შემუშავება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანებისათვის	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2012 წლის I კვარტალი
9. არასრულწლოვანთა საგანმანათლებლო დონის და საჭიროებების შეფასების მექანიზმის შექმნა	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2012 წლის I კვარტალი

<p>10. მასწავლებელთა ტრენინგ მოდულის შექმნა/ტრენინგი</p>	<p>განათლების და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>2012 წლის I კვარტალი</p>
<p>11. არასრულწლოვნებისთვის ზოგადი განათლების უზრუნველყოფა</p>	<p>განათლების და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>2012 წლის II-IV კვარტალი</p>